ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1931 წ. დეკემბრის 31. № 24 ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები.

252. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის კომიტეტის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის კომიტეტის შესახებ.

253. იმ პერიოდის განმავლობაში, ვიდრე დაიწყებოდეს ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტროსადგურის დანადგამთა და რიონის ჰიდრო-ელექტროსადგურის ექსპლოატაცია, ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტროსადგურის დატვირთვის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა.

254. „საცხოვრებელი სადგომების თაობაზე" გამოცემული 1923 წ. სექტემბრის 26-ის დეკრეტის მე-6[1] მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

255. ქალაქ ქუთაისში საბინაო კრიზისის შესუსტების ღონისძიებათა და საცხოვრებელი ფართობით მუშათა და გლეხთა წითელი არმიის თავმდგომთა საკადრო შედგენილობის პირების უზრუნველყოფის შესახებ.

ფინანსები.

256. ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა და პირველადი კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ წლიური ბალანსების გამოქვეყნების წესის შესახებ.

257. მოსახლეობის თვითდაბეგვრის დებულების მე-9 და მე-20 მუხლების რედაქციის შეცვლის შესახებ.

შრომა.

258. 1932 წლისათვის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მუშა-ძალის საჭიროების გეგმისა და მუშა-ძალის ბალანსების შედგენის წესის შესახებ.

259. ქვა-ნახშირისა და შავი ქვის მრეწველობის მემაღაროე მუშების შრომის საგზაო ბეგარისაგან განთავისუფლების შესახებ.

260. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებისა და ცენტრალური დაწესებულებების მუშაობის ექვსდღიან წყვეტილ კვირაზე გადაყვანის შესახებ.

სოციალურ-კულტურული წყობილება.

261. კულტურული მშენებლობის საბჭოების დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ.

262. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან საბჭოთა აღმშენებლობის სახლის დაარსებისა და ამ სახლის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საბჭოთა აღმშენებლობის სახლის შესახებ.

263. „რემედასის" დეკადის (ათდღიურის) ჩატარების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლის სამართალი.

264. სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის რედაქციის შეცვლის შესახებ.

265. სისხლის სამართლის კოდექსისათვის 103[3]-ა მუხლის დამატების შესახებ.

266. სისხლის სამართლის კოდექსისათვის 105[1] მუხლის დამატების შესახებ.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება.

267. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 26 მუხლის მე-2 შენიშვნის უკანასკნელი აბზაცის შეცვლის შესახებ.

268. სისხლის საქმეთა ქვემდებარეობის შესახებ.

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

252. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის კომიტეტის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის კომიტეტის შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **პ. ტყაბლაძე.**

1931 წ. ნოემბრის 24.

ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის კომიტეტის შესახებ.

1. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის კომიტეტი არსებობს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან.

2. კომიტეტს დაეკისრება:

ა) დაამუშაოს ძირითადი დირექტივები, ცალკეული პრობლემები და ღონისძიებანი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის დარგში და აგრეთვე დაამუშაოს საკავშირო და ფედერატიული ორგანოების დავალებით, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციასთან დაკავშირებული საკითხები;

ბ) დაამუშაოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის საპერსპექტივო გეგმები და მათი განხორციელების წესი და საშუალებანი, აგრეთვე განიხილოს სახალხო მეურნეობის წლიური გეგმები იმ მხრივ, რომ მათში გამოხატულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის ამოცანები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) შეიმუშაოს დადგენილებათა პროექტები სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის საკითხების შესახებ, რათა ეს პროექტები სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის მეშვეობით წარედგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მთავრობას;

დ) მისცეს, სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, დასკვნა იმ დადგენილებათა პროექტების შესახებ, რასაც უწყებები შეიტანენ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში და ეკონომიურ საბჭოში;

ე) მისცეს დასკვნა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმს ყველა იმ საკითხის შესახებ, რასაც საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სექტორები ამუშავებენ და რაც სახალხო მეურნეობის ქიმიზაციას შეეხება;

ვ) განახორციელოს საერთო მეთვალყურეობა იმისათვის, რომ დაწესებულებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა შეასრულონ ძირითადი ღონისძიებანი სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის დარგში;

ზ) განახორციელოს უშუალო კავშირი სამეცნიერო-ტექნიკურ, სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომელნიც სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის საკითხებზე მუშაობენ;

თ) მოაწყოს ყრილობები, კონფერენციები და თათბირები ქიმიზაციის საკითხების შესახებ;

ი) შეკრიფოს და გაავრცელოს ინფორმაცია სსრ კავშირში და საზღვარგარეთ ქიმიის დარგში წარმოებული მუშაობისა და ამ დარგის მიღწევების შესახებ.

3. სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის კომიტეტს უფლება აქვს:

ა) მისცეს საქართველოს სსრ უწყებებსა და ორგანიზაციებს და აგრეთვე საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის კომიტეტებს დავალებანი ქიმიზაციის ცალკეული საკითხების დამუშავებისა და მოხსენებების, მასალის და ცნობების დამზადების შესახებ;

ბ) მიიწვიოს ცალკეული პირები, როგორც სასყიდლით—განსაკუთრებული შეთანხმების წესისამებრ, ისე უსასყიდლოდ—საზოგადოებრიობის საფუძველზე, მოხსენებებისა და მასალის დასამუშავებლად;

გ) მიიწვიოს ქიმიზაციის საკითხების განსახილველად საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სექტორებისა, საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის საგეგმო ორგანოებისა და საქართველოს სსრ უწყებებისა, დაწესებულებებისა, ორგანიზაციებისა და ცალკეული საწარმოების პასუხისმგებელი წარმომადგენელნი და აგრეთვე ავტორიტეტული ექსპერტები და სპეციალისტები;

დ) მოაწყოს მუდმივი და დროებითი კომისიები ცალკეული საკითხების დასამუშავებლად;

ე) მოსთხოვოს საქართველოს სსრ ყველა უწყებას, დაწესებულებას და ორგანიზაციას პერიოდული ანგარიშების წარდგენა ქიმიზაციის დარგში წარმოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული მუშაობისა და ამ მუშაობისათვის კონტროლის გაწევის საქმის დაყენების შესახებ;

ვ) გამოსცეს პოპულარული და სამეცნიერო ჟურნალები, შრომები, ანგარიშები და სხვა ბეჭდვითი მასალა ქიმიზაციის საკითხების შესახებ;

ზ) მოაწყოს გამოფენები, ლექციები, სამეცნიერო დემონსტრაციები, კონსულტაციები და კონკურსები ქიმიზაციის საკითხების შესახებ;

თ) გაგზავნოს თავისი წარმომადგენელნი სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის საკითხების განხილვაში მონაწილეობის მისაღებათ და აგრეთვე ამ საკითხების შესახებ მოწყობილ საერთაშორისო ყრილობებში, კონფერენციებში და მუდმივ ბიუროებში მონაწილეობის მისაღებად.

4. ქიმიზაციის კომიტეტს ჰყავს პლენუმი და პრეზიდიუმი. პრეზიდიუმის წევრთა შედგენილობაში შედის საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის კომიტეტის სწავლული მდივანი.

5. კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის წევრთა პერსონალურ შედგენილობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის წარდგენით.

6. კომიტეტის პლენუმი მოიწვევა წელიწადში ორჯერ მაინც კომიტეტისათვის დაკისრებული მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად. კომიტეტი კერძოდ განიხილავს:

ა) ძირითადი დირექტივების პროექტებს სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის დარგში;

ბ) სახალხო მეურნეობის საპერსპექტივო და წლიურ გეგმებს ქიმიზაციის ამოცანების თვალსაზრისით;

გ) მოხსენებებს სახალხო მეურნეობის ქიმიზაციისა და ქიმიური მრეწველობის ცალკეული დარგებისა და საკითხების შესახებ;

დ) ანგარიშებს და მოხსენებებს კომიტეტის პრეზიდიუმის მოქმედების შესახებ.

7. კომიტეტს ჰყავს განსაკუთრებული ტეხნიკური აპარატი, რომლის შტატიც დამტკიცდება არსებული წესისამებრ.

8. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის კომიტეტის შესანახი ხარჯი გატარდება საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის ხარჯთაღრიცხვით.

9. სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის კომიტეტის განკარგულებაში არის სპეციალური ფულადი ფონდები, საიდანაც კომიტეტი აწარმოებს ცალკეულ სამეცნიერო-საკვლევო სამუშაოთა სუბსიდირებას, ქიმიის დარგში საუკეთესო სამეცნიერო-საკვლევო შრომისათვის პრემიების მიცემას, სწავლული ქიმიკოსებისათვის, სტიპენდიების დანიშვნას, სამეცნიერო-სატეხნიკო საზოგადოებათა მუშაობის დაფინანსებას და სამეცნიერო შრომების გამოსაცემად დოტაციების მიცემას.

10. კომიტეტს აქვს თავისი ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბის გამოსახულებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

253. დადგენილება ს. ძ. ს.

იმ პერიოდის განმავლობაში, ვიდრე დაიწყებოდეს ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტროსადგურის მეორე რიგის დანადგამთა და რიონის ჰიდრო-ელექტროსადგურის ექსპლოატაცია, ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტროსადგურის დატვირთვის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ.

რადგანაც ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტროსადგურის დატვირთვა სწრაფად იზრდება იმ რაიონის მრეწველობის ჩქარი ტემპით განვითარების გამო, რომელსაც ეს სადგური მომსახურეობას უწევს, და შეუძლებელია, ამ სადგურის ახლანდელი ძალოვნების მიხედვით (მეორე რიგის დანადგამთა და რიონის ელექტრო-სადგურის ექსპლოატაციის დაწყებამდე), ყველა მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება განსაზღვრული რაიონისათვის ელექტრო-ენერგიის მიწოდების სფეროში,—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, ხსენებული სადგურის ელექტრო ენერგიის ეკონომიური და რაციონალური ხარჯვის მიზნით, ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ყველა იმ უწყებას და ორგანიზაციას, რომლის გამგებლობაშიაც ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტროსადგურის ელექტრო-ენერგიის მომხმარებელი დიდრონი საწარმონია (26 კომუნარის სახელობის მექანიკური ქარხანა, ლ. სუხიშვილის სახელობის ქარხანა, ს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა, მაუდის ფაბრიკა, ტყავეულობის ტრესტის საწარმონი, თამბაქოს 1-ლი და მე 2 ფაბრიკა, ბამბის სართავი ფაბრიკა, აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა, ფერრო-მარგანეცის საცდელი ქარხანა, ქალაქის სასაკლაოები, სახელმწიფო კინო-მრეწველობის საწარმონი, „ხლადოცენტრ"-ის ნავთლუღის სამაცივრო ქარხანა და კასპის საცემენტო ქარხანა), გარდაქმნას, არა უგვიანეს 1931 წ. დეკემბრის 1-ისა, ამ საწარმოთა მუშაობა იმ მხრით, რომ მაქსიმალურად შემცირებულ იქნეს ელექტრო-ენერგიის მოხმარება ზემო-ავჭალის ელექტროსადგურის საღამოთი უმწვერვალესი დატვირთვის საათებში, ე. ი. ამ საწარმოთა მეორე რიგის მუშაობის დროს და, სამაგიეროდ, გადიდებულ იქნეს მესამე რიგის მუშაობის დატვირთვა, ან მეორე რიგის მუშაობა მთლად გადატანილ იქნეს მესამე რიგში, ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტროსადგურის დატვირთვის გეგმის შესაბამისად, რასაც შეიმუშავებს ამიერკავკასიის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო საკვლევო ინსტიტუტი.

2. ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტროსადგურის დატვირთვის მოსაწესრიგებლად საქართველოს სსრ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან მოწყობილ იქნეს სპეციალური კომისია საქართველოს სსრ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ან მისი მოადგილის თავმჯდომარეობით და ტფილისის ელექტრონაგებობათა სამმართველოსი, სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ენერგოცენტრის ამიერკავკასიის სარაიონო სამმართველოსი, ა/კსფსრ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და ა/კსფსრ-ისა და საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატების წარმომადგენელთა შედგენილობით.

იმ საწარმოთა დატვირთვის დღე და ღამის გრაფიკების დადგენისა და შეცვლის საკითხები, რომელთაც მომსახურეობას ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადგური უწევს, აგრეთვე ამ დატვირთვის გადიდების საკითხები ელექტრო-ენერგიის მომხმარებლებმა აუცილებლად უნდა შეუთანხმონ ზემოაღნიშნულ კომისიას.

3. წინადადება მიეცეს წინა მუხლში აღნიშნულ კომისიას, არა უგვიანეს 1931 წ. დეკემბრის 1-ისა, სათანადო საწარმოთა ადმინისტრაციასთან და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, შეიმუშაოს ამა დადგენილების 1-ლ მუხლში ჩამოთვლილ საწარმოთაგან იმ საწარმოთათვის, რომელნიც საწარმოო კვირის განმავლობაში შეწყვეტით მუშაობენ, გამოსასვლელი დღეების ისეთი განაწილება, რომ ერთსა და იმავე დროს მომუშავე საწარმოთა შეჯამებითი (სუმარული) დატვირთვა საწარმოო კვირის ამა თუ იმ დღეს თვალსაჩინოდ არ გადასცდეს ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტროსადგურისათვის ამიერკავკასიის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის მიერ შემუშავებულ საერთო გეგმას.

4. უფლება მიეცეს ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნულ კომისიას —ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტროსადგურის შემდგომი დატვირთვის ოდენობის მიხედვით—შეუფარდოს 1-ლ მუხლში გათვალისწინებული ღონისძიებანი აგრეთვე ელექტრო-ენერგიის იმ მომხმარებელთ, რომელნიც ამ მუხლში დასახელებულ არ არიან.

5. აეკრძალოს ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტროსადგურის მოქმედების რაიონში ელექტრო-ენერგიის მომხმარებელთ:

ა) ამ სადგურის საღამოთი უმწვერვალესი დატვირთვის საათებში (17 საათიდან 23 საათამდე) ელექტრო-ენერგიის გამოყენება წვრილმოტორიანი დანადგამებისათვის;

ბ) მე-2 მუხლში აღნიშნული კომისიის ნებადაურთველად ელექტროდანადგამების (ტრანსფორმატორებისა, ელექტრო-მოტორებისა, განათების დანადგამებისა და სხვ. მისთ.) ძალოვნების გადიდება 0,5 კილოვატზე მეტი ოდენობით;

გ) მაღაზიების დარაბებისა და სასაწყობო სადგომების ეგრედ წოდებული სამორიგეო ნათურებით განათებისათვის ელექტრო-ენერგიის გამოყენება;

დ) გათბობისათვის ელექტრო-ღუმელების (სხვათა შორის ნათურებიანი) გამოყენება.

შენიშვნა: მე-2 მუხლში აღნიშნული კომისიის ნებართვით თვითეულ ცალკე შემთხვევაში შეიძლება ელექტრო-ღუმელების გამოყენება სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი დაწესებულებებისა, საწარმოს და ორგანიზაციის მიერ დაჭერილი სადგომის გასათბობად, ხოლო ისიც დღისით 10-დან 17 საათამდე და ღამით 23-დან 7 საათამდე.

6. შემცირებულ იქნეს მინიმუმამდე ქალაქ ტფილისში სავაჭრო საწარმოთა ვიტრინებისა და აგრეთვე თეატრებისა, კინემატოგრაფებისა, კლუბებისა და სხვა მისთან. შესასვლელების და ფოიების განათება.

შენიშვნა. სავაჭრო საწარმოთა ვიტრინების გასანათებლად ნებადართულია: დიდრონი ვიტრინებისათვის—100 ვატტიანი ძალოვნების ნათურებისა, ხოლო სხვა ვიტრინებისათვის—არა უმეტეს, ვიდრე 50 ვატტიანი ძალოვნების ნათურების გამოყენება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. წინადადება მიეცეს ყველა იმ დაწესებულებისა, საწარმოს და ორგანიზაციის ადმინისტრაციას, რომელსაც მომსახურეობას ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტროსადგური უწევს, შეამციროს კანცელარიებში, კონტორებში, საწყობებში, გარაჟებში და სხვა მისთან. სახმარი ელექტრო-ნათურების საერთო სანთლიანობა და შეუფარდოს იგი განათების რეალურ მოთხოვნილებას საღამოს საათებში ფაქტიურად მომუშავე თანამშრომლების რიცხვის მიხედვით; ეს შემცირება განხორციელებულ უნდა იქნეს ისეთი ვარაუდით, რომ თვითეულ დაწესებულებასა, საწარმოსა და ორგანიზაციაში განათებისათვის საჭირო ენერგიის ხარჯი შემცირდეს არა ნაკლებ, ვიდრე 30%-ით შედარებით გასული წლის სათანადო თვის ხარჯთან.

8. უფლება მიეცეს ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნულ კომისიას, საჭიროებისადა მიხედვით, როდესაც ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტროსადგურის დატვირთვა თავისი ზღვრული ძალოვნების ფარგალს მიაღწევს, გადაიყვანოს ესა თუ ის საწარმო ელექტრო-ენერგიით მომარაგებაზე მისი კუთვნილი ელექტრო-თბო სადგურიდან (სარეზერვო და კონსერვირებული) და ტფილისის ელექტრო-ნაგებობათა სამმართველოს ელექტრო-თბოსადგურებიდან.

ყველა ელექტრო-თბოსადგური მისმა მფლობელმა უნდა განამზადოს ასამუშავებლად ყოველი მომენტისათვის, როდესაც ამას ხსენებული კომისია მოითხოვს (სადგურები უზრუნველყოფილ უნდა იქნენ მომსახურე პერსონალით, სათბობი და საცხები მასალით და სხვა მისთან.).

9. ამა დადგენილების მე-5 და 6 მუხლებში აღნიშნული წესების შეუსრულებლობა ან დარღვევა გამოიწვევს ჯარიმას 1.000 მანეთამდე ან იძულებით მუშაობას ორ თვემდე, რაც დაიდება საადმინისტრაციო წესით ადმინისტრატიულ გადასახდელთა დებულების წესების თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-20 №-ი, მუხ. 207), ტფილისის ელექტრო-ნაგებობათა სამმართველოს და სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ენერგოცენტრის ამიერკავკასიის სარაიონო სამმართველოს აგენტებისა და აგრეთვე მუშათა და გლეხთა მილიციის თანამშრომლების მიერ შედგენილი ოქმების მიხედვით.

ამა დადგენილების მე-7 მუხლში აღნიშნულ მოთხოვნათა შეუსრულებლობა გამოიწვევს დამნაშავე თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობას სადისციპლინო წესით.

აღნიშნულ საზედმოქმედო ღონისძიებათა გარდა, ტფილისის ელექტრო-ნაგებობათა სამმართველოს—ქალაქის აბონენტების მიმართ, ხოლო სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ენერგოცენტრის ამიერკავკასიის სარაიონო სამმართველოს—ქალაქ-გარე აბონენტების მიმართ უფლება აქვთ მოშალონ ამა დადგენილების დამრღვევ მომხმარებლებთან დადებული სათანადო ხელშეკრულებები ელექტრო-ენერგიის მიწოდების შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. ვოგია.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მაგ. **ვ. ლუნკევიჩი.**

1931 წ. ნოემბრის 24.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 272 №-ში 1931 წ. ნოემბრის 28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

254. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

„საცხოვრებელი სადგომების თაობაზე“ გამოცემული 1923 წ. სექტემბრის 26-ის დეკრეტის მე-6[1] მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

„საცხოვრებელი სადგომების შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. სექტემბრის 26-ის დეკრეტის მე-6[1] მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1923 წ. მე-2 №-ი, მუხ. 20 და გაზ. „კომუნისტის“ 1931 წ. 247 №-ი) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„6[1]. მთლად ის საცხოვრებელი სივრცე, რაც განთავისუფლდება მუნიციპალურ საცხოვრებელ ფონდში (ნაციონალიზებულ, მუნიციპალიზებულ და კერძო მფლობელობის სახლებში, ამ უკანასკნელებში—კომუნალური საცხოვრებელი ფონდის ფარგლებში) მუშათა და გლეხთა წითელი არმიის თავმდგომთა საკადრო შედგენილობის პირთა და მათთან მცხოვრებ მათი ოჯახის წევრთა სხვაგან წასვლის გამო, გადავა გარნიზონების უფროსთა განკარგულებაში და დასახლებულ იქნება ამ უკანასკნელთა განკარგულებით“.

II.

მთლად ის საცხოვრებელი სივრცე, რაც ამა დადგენილების გამოქვეყნების მომენტში უჭირავთ მუშათა და გლეხთა წითელი არმიის თავმდგომთა საკადრო შედგენილობის პირთ და მათთან მცხოვრებ მათი ოჯახის წევრთ კერძო მფლობელობის სახლებში და აგრეთვე იმ მუნიციპალიზებულ სახლებში, რომლებიც კერძო პირებს აქვთ იჯარით აღებული, ჩაირიცხოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 20-ის დადგენილებით გათვალისწინებულ კომუნალურ საცხოვრებელ ფონდში (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 5 და მე-18 №-ი, მუხ. 191 და გაზ. „კომუნისტის“ 1931 წ. 247 №-ი).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. ნოემბრის 28.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

255. დადგენილება ს. ა. კ. და ს. კ. ს.

ქალაქ ქუთაისში საბინაო კრიზისის შესუსტების ღონისძიებათა და საცხოვრებელი ფართობით მუშათა და გლეხთა წითელი არმიის თავმდგომთა საკადრო შედგენილობის პირების უზრუნველყოფის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

1. საბინაო-სასანიტარო ნორმად ქალ. ქუთაისისათვის დაწესებულ იქნეს ათი კვადრატული მეტრი სულზე.

2. ნება დაერთოს ქუთაისის საქალაქო საბჭოს ჩარიცხოს კომუნალურ საბინაო ფონდში, რაც გათვალისწინებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 20-ის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 5, მე-18 №-ი, მუხ. 191 და 22 №-ი, მუხ. 235), ქალ. ქუთაისში იმ კერძო მფლობელ[illegible]ბის სახლების საცხოვრებლად ვარგისი ფართობის ოცდახუთ პროცენტამდე, სადაც ოთხ ოთახზე მეტია.

შენიშვნა. კომუნალურ საბინაო ფონდში ჩასარიცხად ზედმეტი საცხოვრებელი ფართობის ჩამორთმევა მოხდება იმ წესების თანახმად, რაც გათვალისწინებულია „იძულებითი შემჭიდროებისა და გადასახლების შეზღუდვის შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 11-ის დადგენილების მე-2, 3 და 4 მუხლებით (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-9 №-ი, მუხ. 81).

3. წინადადება მიეცეს ქუთაისის საქალაქო საბჭოს მიუჩინოს ქალ. ქუთაისში კომუნალური საბინაო ფონდიდან, ადგილობრივი გარნიზონის უფროსის განცხადების თანახმად, უპირატესად სხვა განცხადებებთან და პირველ რიგში, საცხოვრებელი ფართობი სამსახურისათვის იქ მისულთ მუშათა და გლეხთა წითელი არმიის თავმდგომთა საკადრო შედგენილობის პირთ, იმ შემთხვევაში, როდესაც მათი დაკმაყოფილება საცხოვრებელი ფართობი[illegible]არ შეუძლიან თვით გარნიზონის უფროსს ამ ფართობის უქონლობის გამო სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების კუთვნილ სახლებში ან იმ საცხოვრებელი ფართობიდან, რაც გარნიზონების უფროსების განკარგულებაშია „საცხოვრებელი სადგომების შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. სექტემბრის 26-ის დეკრეტის მე-6[1] მუხლის ძალით“.

II.

ამა დადგენილების 1-ლ კარში აღნიშნული წესის შესაბამისად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. სექტემბრის 26-ის დეკრეტში „საცხოვრებელი სადგომების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1923 წ. მე-2 №-ი, მუხ. 20) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-9 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. 21 №-ი, მუხ. 221) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„9. საცხოვრებელი ფართობის ნორმა (საბინაო-სასანიტარო ნორმა) ყველა მოქალაქისათვის განისაზღვრება შემდეგი ოდენობით: ტფილისსა და ქუთაისში—ათი კვადრატული მეტრი სულზე, სხვა ქალაქებში—თორმეტი კვადრატული მეტრი სულზე; იმ სოფლებში, რომლებიც სარაიონო ცენტრებია, საცხოვრებელი ფართობის ნორმის დაწესების უფლება აქვთ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, ხოლო ისე კი, რომ ეს ნორმები არ აღემატებოდეს რვა კვადრატულ მეტრს სულზე.

დაწესებულებათა და საწარმოთათვის ნორმა განისაზღვროს 4,5 კვადრატული მეტრის ოდენობით თვითეულ თანამშრომელზე“.

აღნიშნული მუხლის შენიშვნა ძალაში რჩება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. სექტემბრის 27-ის დადგენილების რედაქციის სახით (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. 21 №-ი, მუხ. 221).

2. მე-5 მუხლის „ა“ პუნქტი (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. 22 №-ი, მუხ. 235) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

[5. მუშა-მოსამსახურეთა ბინის საჭიროების დასაკმაყოფილებლად ადგილობრივ საბჭოებს უფლება აქვთ:]

„ა) აიღონ აღნუსხვაზე იმ სახლებში, სადაც ოთხ ოთახზე მეტია, საცხოვრებლად ვარგისი ფართობის: ტფილისში—არა უმეტეს 33%-ისა, ბათომსა, ქუთაისსა და ფოთში—არა უმეტეს 25%-ისა, ხოლო დანარჩენ ქალაქებში—არა უმეტეს 15%-ისა.“

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს. თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. ნოემბრის 28.

ტფილისი.

ფინანსები

256. დადგენილება ს. კ. ს.

ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოთა და პირველადი კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ წლიური ბალანსების გამოქვეყნების წესის შესახებ.

„განსაზოგადოებული სექტორის საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ წლიური ბალანსების გამოქვეყნების წესის შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. სექტემბრის 6-ის დადგენილების 1-ლი მუხ-

1931 წელი ბიბლიოთეკა

ლის მე-2 შენიშვნისა და მე-5 მუხლის თანახმად („ზარია ვოსტოკა"-ს 252 №-ი)—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სამეურნეო (კომერციული) ანგარიშის საფუძველზე მომქმედი ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო საწარმო (საქალაქო საბჭოს და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ქვემდებარე) და პირველადი კოოპერატიული ორგანიზაცია მოვალეა თავისი წლიური ბალანსი გამოაქვეყნოს ბეჭდითი სიტყვის ადგილობრივ ორგანოში (სადაც იგი გამოდის) ერთი თვის ვადაზე დღიდან ბალანსის დამტკიცებისა იმ ორგანოს მიერ, ვის გამგებლობაშიაც საწარმო თუ ორგანიზაციაა.

2. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს და საქალაქო საბჭოს, აგრეთვე რესპუბლიკანურ კოოპერატიულ კავშირს უფლება აქვს, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გაანთავისუფლოს ესა თუ ის საწარმო ან პირველადი კოოპერატიული ორგანიზაცია ბალანსის სავალდებულო გამოქვეყნებისაგან.

3. ბალანსის გამოქვეყნების სპეციალურ ტარიფს დააწესებს ადგილობრივი საფინანსო ორგანო მუშათა და გლეხთა ინსპექციის ადგილობრივ ორგანოსთან შეთანხმებით.

4. პასუხისმგებლობა 1-ლ მუხლში აღნიშნულ საწარმოთა და ორგანიზაციათა ბალანსების კანონით განსაზღვრულ ვადაზე დამტკიცებისა და თავის დროზე გამოქვეყნებისათვის დაეკისროს საქალაქო საბჭოებსა და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და სათანადო რესპუბლიკანურ კოოპერატიულ კავშირს—კუთვნილებისამებრ.

5. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის აღსრულებისათვის კონტროლის გაწევა დაეკისროს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და მის რწმუნებულებს ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში, რომელთაც უფლება აქვთ, უკეთუ ბალანსები თავის დროზე არ იქნა დამტკიცებული ან თავის დროზე გამოქვეყნებული, შეუფარდონ დამნაშავე დაწესებულებას, საწარმოს და ორგანიზაციას საფინანსო ზედმოქმედების ღონისძიება, თვით საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯებისათვის საჭირო კრედიტების დახურვამდეც-კი.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **პ. ტყაბლაძე.**

1931 წ. ნოემბრის 24.

ტფილისი.

---

257. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

მოსახლეობის თვითდაბეგვრის დებულების მე-9 და მე-20 მუხლების რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მოსახლეობის თვითდაბეგვრის დებულების მე-9 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-17 №-ი, მუხ. 184) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„9. მოქალაქეთა საერთო კრების დადგენილებაში თვითდაბეგვრის შემოღების შესახებ აღნიშნულ უნდა იქნეს:

ა) მიზანი და ღონისძიება, რისთვისაც თვითდაბეგვრა ხორციელდება;

ბ) თვითდაბეგვრის პროცენტი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხის მიმართ;

გ) თვითდაბეგვრის წესით შესატანის გადახდის ვადა.

2. იმავე დებულების მე-20 მუხლს დაემატოს პუნქტი „ა¹" შემდეგი შინაარსისა:

[20. სასოფლო საბჭოს დაეკისრება შემდეგი მოვალეობანი მოსახლეობის თვითდაგებვრისათვის...]

„ა¹) გაანთავისუფლოს თვითდაბეგვრისაგან ცალკეული მეურნეობანი და მოქალაქენი ამა დებულების მე-11, 14 და 17 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევაში".

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. ნოემბრის 28.

ტფილისი.

ᲨᲠᲘᲤᲢᲘ

258. ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲡ ᲑᲐ Ს. Კ. Ს.

1932 წლისთვის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მუშა-ძალის საჭიროების გეგმისა და მუშა-ძალის ბალანსების შედგენის წესის შესახებ.

„1932 წელს მუშა-ძალით სახალხო მეურნეობის მომარაგების წესის შესახებ" გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. დეკემბრის 1 ის დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად (გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს 327 №-ი) და ამ დადგენილების განსავითარებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატთან ერთად, წარუდგინოს, არა უგვიანეს 1932 წ. იანვრის 18-ისა, საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოს დასამტკიცებლად მუშა-ძალის 1932 წლის რესპუბლიკანური ჯუმლობითი ბალანსი რაიონობითი და დარგობითი ხაზით და, საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს მიერ დამტკიცებისათანავე, ეს ბალანსი წარუდგინოს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს კუთვნილებისამებრ—არა უგვიანეს 1932 წ. იანვრის 20-ისა.

2. დაევალოს ყველა იმ საწარმოს, მშენებლობას, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობას და განსაზოგადოებული სექტორის სხვა ორგანიზაციას, რომელიც მუშა-ძალას იყენებს, მისი ხელმძღვანელის პირადი პასუხისმგებლობით შეად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გინოს მუშა-ძალის საჭიროების და ამ საჭიროების დაკმაყოფილების გეგმა 1932 წლისათვის კვარტალობით, ხოლო წარმოების სასეზონო დარგებისათვის — ცალკე თვეობითი გეგმა, და არა უგვიანეს 1932 წლის იანვრის 1-ისა ეს გეგმები წარუდგინოს:

ა) ქალ. ტფილისისა, ქუთაისისა და ფოთის ტერიტორიაზე მყოფი საწარმოსი, მშენებლობისა და სხვა ორგანიზაციისათვის — სათანადო საქალაქო საბჭოს;

ბ) იმ რაიონისა და ქალაქის ტერიტორიაზე მყოფი საწარმოსი, მშენებლობისა, საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობისა და სხვა ორგანიზაციისათვის, რომელიც ამა მუხლის „ა" პუნქტში აღნიშნული არ არის, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის აზრითურთ, ხოლო საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე მყოფთათვის — ამ რესპუბლიკების და ოლქის საგეგმო-სასტატისტიკო ორგანოებს.

3. წინადადება მიეცეს ამა დადგენილების მე-2 მუხლის „ა" პუნქტში აღნიშნული ქალაქების საქალაქო საბჭოებს, მათი საგეგმო-სასტატისტიკო ორგანოების მიერ სათანადო ტერიტორიისათვის დარგობითი ხაზით შედგენილი და მათ მიერ დადასტურებული 1932 წლის მუშა-ძალის საჭიროებისა და ამ საჭიროების დაკმაყოფილების ჯუმლობითი გეგმები წარუდგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას არა უგვიანეს 1932 წლის იანვრის 10-ისა.

მიენდოს აფხაზეთის ავტონომიური სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს დაავალონ ამ რესპუბლიკებისა და ოლქის საგეგმო-სასტატისტიკო ორგანოებსა და შრომის ორგანოებს წარუდგინონ იმავე ვადაზე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატს სათანადო ტერიტორიისათვის შედგენილი მუშა-ძალის საჭიროებისა და ამ საჭიროების დაკმაყოფილების 1932 წლის ჯუმლობითი გეგმები რაიონობითი და დარგობითი ხაზით.

შენიშვნა. მუშა-ძალის საჭიროებისა და ამ საჭიროების დაკმაყოფილების 1932 წლის სარაიონო ჯუმლობითს გეგმებს ყველა რაიონისათვის, გარდა ქ. ტფილისისა, ქუთაისისა და ფოთისა, შეადგენს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატის მონაწილეობით, ხოლო საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის რაიონებისათვის აღნიშნულ გეგმებს შეადგენენ ამ რესპუბლიკებისა და ოლქის საგეგმო-სასტატისტიკო ორგანოები და შრომის ორგანოები.

4. წინადადება მიეცეს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს, მომარაგების სახალხო კომისარიატს, კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს, გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს, წყალთა მეურნეობის სამმართველოს, სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების კავშირს (საკოლმეურნეო ცენტრს), მთავარ საკურორტო სამმართველოს და საქართველოს სსრ-ის სხვა უწყებებსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ორგანიზაციებს—შეადგინონ 1932 წლის შრომის ჯუმლობითი ბალანსები თავიანთი სისტემის ყველა საწარმოსათვის, მშენებლობისათვის და სხვა მისთ., ქვემდებარეობის მიუხედავად (საერთო-საკავშირო, ფედერატიული, რესპუბლიკანური, ადგილობრივი), რაიონობითი და დარგობითი ხაზით და წარუდგინონ ეს ბალანსები საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და შრომის სახალხო კომისარიატს არა უგვიანეს 1932 წლის იანვრის 10-ისა.

5. წინადადება მიეცეს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და შრომის სახალხო კომისარიატს გამოსცენ სამი დღის ვადაზე ამა დადგენილების განსავითარებლად სპეციალური ინსტრუქცია და მიაწოდონ იგი სახელმძღვანელოდ ყველა უწყებას, დაწესებულებას და ორგანიზაციას.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **პ. ტყაბლაძე.**

1931 წ. დეკემბრის 13.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 287 №-ში 1931 წ. დეკემბრის 16.

---

259. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ქვა-ნახშირისა და შავი ქვის მრეწველობის მემაღაროე მუშების შრომის საგზაო ბეგარისაგან განთავისუფლების შესახებ.

შრომის საგზაო ბეგარის დებულების მე-5 მუხლის „ე" პუნქტის თანახმად (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-13 №-ი, მუხ. 148) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

განთავისუფლებულ იქნენ შრომის საგზაო ბეგარისაგან ქვანახშირისა და შავიქვის მრეწველობის მემაღაროე მუშები, რომელთაც აქვთ საკუთარი სასოფლო მეურნეობა და რომელნიც დაკონტრაქტებულ არიან სამუშაოზე ან თვით მიემაგრენ ამ სამუშაოს არა ნაკლებ, ვიდრე ერთი წლის ვადით.

II.

მე-2 მუხლს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 30-ის დადგენილებისას „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შრომის საგზაო ბეგარის განხორციელების შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-16 №-ი, მუხ. 256) დაემატოს „გ" პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

[2. შრომის საგზაო ბეგარის დებულების მე-5 მუხლის „ა", „ბ", „გ" და „დ" პუნქტებში აღნიშნულ პირთა გარდა, საგზაო მუშაობაში შრომით მონაწილეობისათვის აგრეთვე არ გაიწვევიან:...]

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გ) ქვანახშირისა და შავიქვის მრეწველობის მემალაროე მუშები, რომელნიც დაკონტრაქტებულ არიან სამუშაოზე ან თვით მიემგზავრენ ამ სამუშაოს არა ნაკლებ, ვიდრე ერთი წლის ვადით, თუნდაც მათ ჰქონდეთ საკუთარი სასოფლო მეურნეობა“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. ნოემბრის 28.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 284 №-ში 1931 წ. დეკემბრის 12.

---

260. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებისა და ცენტრალური დაწესებულებების მუშაობის ექვსდღიან წყვეტილ კვირაზე ვადაყვანის შესახებ.

ექვსდღიანი წყვეტილი კვირის შესახებ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ყველა სახალხო კომისარიატს და ცენტრალურ დაწესებულებას ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან გადავიდეს ექვსდღიან წყვეტილ კვირაზე. ამასთანავე საერთო დასასვენებელ დღეებად თანამშრომლებისათვის შემოღებულ იქნეს თვითეული თვის 6, 12, 18, 24 და 30 რიცხვი.

შენიშვნა. თებერვლის თვის უკანასკნელი გამოსასვლელი დღის ნაცვლად გამოსასვლელ დღედ დაწესებულ იქნეს მარტის 1-ლი.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნულ ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში ექვსდღიან წყვეტილ კვირაზე გადასვლის მომენტიდან სამუშაო დღე შემცირებულ იქნეს და იგი განისაზღვროს 6 საათით და 30 წამით.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატს დააწესოს მუშაობის დაწყებისა და დამთავრების დრო ზემოაღნიშნული თვითეული დაწესებულებისა და საწარმოსათვის.

3. წინადადება მიეცეს საარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებს ერთი დეკადის ვადაზე წარუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს იმ საარაიონო და საქალაქო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სია, რომელნიც გადაყვანილ უნდა იქნენ ექვსდღიან წყვეტილ კვირაზე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **პ. ტყაბლაძე.**

1931 წ. ნოემბრის 27.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 272 №-ში 1931 წ. ნოემბრის 28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალურ-კულტურული წყობილება

261. დადგენილება ს.ა.კ. და ს.კ.ს.

კულტურული მშენებლობის საბჭოების დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის აპრილის 29-ის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-14 №-ი, მუხ. 16) დამტკიცებულ კულტურული მშენებლობის საბჭოების დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. კულტურული მშენებლობის საბჭოების დებულების მე-5 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„5. კულტურული მშენებლობის საბჭოები მოეწყობა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან, ტფილისის, ქუთაისის, ფოთის, ბათუმის და სოხუმის საქალაქო საბჭოებთან და სასოფლო საბჭოებთან“.

2. იმავე დებულების მე-6 მუხლის მე-3 ნაწილი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„კულტურული მშენებლობის საბჭოების პირად შედგენილობას დაამტკიცებენ: რესპუბლიკანურისა—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდუმი, სარაიონო და საქალაქოსი—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს პრეზიდუმები და სასოფლოსი—სასოფლო საბჭო.“

3. დებულების მე-7 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული კულტურული მშენებლობის საბჭოს პრეზიდიუმს დაამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი“.

4. დებულების მე-8 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„8. კულტურული მშენებლობის საბჭოები შეიკრიბებიან: რესპუბლიკანური—წელიწადში ოთხჯერ მაინც, სარაიონო, საქალაქო და სასოფლო—თვეში ერთხელ“.

5. დაემატოს დებულებას 9^1 მუხლი შემდეგი შინარსისა:

„9^1. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული კულტურული მშენებლობის საბჭოს ამოცანას შეადგენს:

ა) განიხილოს ყველა ცენტრალური ორგანიზაციისა, დაწესებულებისა, ნებაყოფლობითი საზოგადოებისა და სხვ. კულტურული მშენებლობის საკონტროლო ციფრები და გეგმები;

ბ) საბოლოოდ განიხილოს და წარუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქართველოს სსრ კულტურული მშენებლობის ერთიანი გეგმა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) განახორციელოს სისტემატიური კონტროლი იმისათვის, რომ ყველა რესპუბლიკანურმა ორგანომ, დაწესებულებამ და ორგანიზაციამ შეასრულოს კულტურული მშენებლობის გეგმა და ცალკეული ღონისძიებანი, და აგრეთვე მოისმინოს განათლების სახალხო კომისარიატისა და სხვა დაწესებულებისა და ორგანიზაციების მოხსენებანი ამ საკითხების შესახებ;

დ) უშუალო მონაწილეობა მიაღებინოს მუშათა და მშრომელთა ფართო მასებს კულტურულ მშენებლობაში;

ე) მაქსიმალურად გაშალოს კულტურული მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები—სოციალისტური შეჯიბრი, დამკვრელობა და სხვა მასიური ფორმები და მეთოდები კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის მთელს სისტემაში;

ვ) განიხილოს კულტურული მშენებლობის მნიშვნელოვანი პრინციპიალური საკითხები, კერძოდ:

1) საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისა და სხვა ორგანიზაციების საპერსპექტივო გეგმების ის ნაწილი, რაც მათ კულტურულ მუშაობას შეეხება;

2) საკითხები კულტურული მშენებლობის სადამკვრელო დარგებში მუშაობის მსვლელობის შესახებ—საყოველთაო დაწყებითი სწავლება, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, კადრების მომზადება;

3) სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ამოცანების გადაწყვეტაში საგანმანათლებო დაწესებულებათა მონაწილეობის ფორმები და მეთოდები;

4) იმ დაწესებულებათა პროლეტარული კადრებით უზრუნველყოფის საკითხები, რომელნიც კულტურულ მუშაობას ეწევიან, და აგრეთვე საკითხები კულტურულ დაწესებულებათა მთელი მუშაობის ორგანიზაციისა კომუნისტური აღზრდის და პოლიტიკური განათლების პრინციპის საფუძველზე;

5) საქართველოს სსრ ეროვნებათა და პირველ რიგში კულტურულად ჩამორჩენილ ეროვნებათა კულტურული დონის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება.

შენიშვნა 1. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული კულტურული მშენებლობის საბჭოს გადაწყვეტილებანი ერთიანი საკულტურო გეგმის საკითხების შესახებ სავალდებულოა ყველა დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის რომელნიც კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას ეწევიან.

შენიშვნა 2. უკეთუ დაწესებულება ან. ორგანიზაცია არ დაეთანხმა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული კულტურული მშენებლობის საბჭოს გადაწყვეტილებას ერთიანი საკულტურო გეგმის საკითხების შესახებ, ამ ორგანიზაციას თუ დაწესებულებას უფლება აქვს არა უმეტეს, ვიდრე 10 დღის ვადაზე გადაიტანოს საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტისათვის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში".

6. დებულების მე-10 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„10. კულტურული მშენებლობის საბჭოების დადგენილებებს დაამტკიცებენ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუმი, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების ბიუროზიდიუმები და სასოფლო საბჭოები—კუთვნილებისამებრ".

7. დებულების მე-11 მუხლში სიტყვები: „განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული კულტურული მშენებლობის საბჭოს შედგენილობაში" შეიცვალოს სიტყვებით: „სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული კულტურული მშენებლობის საბჭოს შედგენილობაში".

8. დებულების მე-11 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

შენიშვნა. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული კულტურული მშენებლობის საბჭო თავისი ტეხნიკური მუშაობისათვის გამოიყენებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის აპარატს".

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. ნოემბრის 28.

ტფილისი.

---

262. დადგენილება ც. ა. კ.

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან საბჭოთა აღმშენებლობის სახლის დაარსებისა და ამ სახლის დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დაარსებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან საბჭოთა აღმშენებლობის სახლი, რომელიც იმოქმედებს განსაკუთრებული დებულების საფუძველზე.

2. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საბჭოთა აღმშენებლობის სახლის შესახებ.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. ოქტომბრის 17.

ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საბჭოთა აღმშენებლობის სახლის შესახებ.

1. სახელმწიფო აპარატის გარდაქმნის მიზნით, რათა განხორციელდეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის წარმატებით შესრულება და საქართველოს სსრ საბჭოთა აღმშენებლობის გამოცდილების მასიური შესწავლა, აგრეთვე იმ მიზნით, რომ მშრომელთა ფართო მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებმა მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო აპარატის ხელმძღვანელობისა, მმართველობისა და კონტროლის საქმეში,—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტთან არსებობს საბჭოთა აღმშენებლობის სახლი.

საბჭოთა აღმშენებლობის სახლის ძირითად ამოცანას შეადგენს ქვედა საბჭოთა აპარატისათვის კადრების მომზადება და გადამზადება და აგრეთვე ადგილობრივი საბჭოების მასიური მუშაობის შესწავლა.

2. საბჭოთა აღმშენებლობის სახლის გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) აამაღლოს სახელმწიფო აპარატის, უმთავრესად ქვედა აპარატის მომუშავეთა, კვალიფიკაცია და მოამზადოს საბჭოთა აღმშენებლობის მომუშავეთა ახალი კადრები;

ბ) გასწიოს მშრომელთა ფართო მასებში საბჭოთა აღმშენებლობის იდეის პროპაგანდა და პოპულარიზაცია, აგრეთვე ხელი შეუწყოს მუშათა და გლეხთა საზოგადოებრიობის აქტივიზაციას საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში;

გ) შეისწავლოს და განაზოგადოს ადგილობრივი საბჭოების მუშაობის ორგანიზაციისა და დაყენების გამოცდილება მრეწველობის რეკონსტრუქციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის მორიგ ამოცანებთან დაკავშირებით;

დ) შეისწავლოს ნაციონალური საკითხის გადაწყვეტისა, ნაციონალურ კულტურის განვითარებისა და ძველი ყოფაცხოვრების ნაშთებთან ბრძოლის პრაქტიკა.

3. საბჭოთა აღმშენებლობის სახლის მმართველი ორგანოებია სახლის საბჭო და დირექტორი.

4. საბჭო საერთო ხელმძღვანელობას გაუწევს საბჭოთა აღმშენებლობის სახლის მუშაობას და მოქმედობს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული ინსტრუქციის საფუძველზე.

საბჭოს შედგენილობაში შედიან: სახლის დირექტორი—თავმჯდომარე, მუდმივი წარმომადგენელნი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებისა, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომკავშირის ორგანოებისა, რომელნიც საორგანიზაციო-მასიურ მუშაობას განაგებენ, საქართველოს სსრ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, ტფილისის საქალაქო საბჭოსი, საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა ცენტრისა და საქართველოს სსრ საბჭოთა აღმშენებლობის და სამართლის ინსტიტუტისა, აგრეთვე სახლის სექტორების გამგენი და სახლთან არსებულ დამხმარე დაწესებულებათა ხელმძღვანელნი.

5. საბჭოთა აღმშენებლობის სახლის უშუალო ხელმძღვანელობას და მმართველობას განახორციელებს დირექტორი, რომელსაც დანიშნავს და უკან გაიწვევს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

6. საბჭოთა აღმშენებლობის სახლი შესდგება სასწავლო და მასიური მუშაობის შესწავლის სექტორებისაგან და ბიბლიოთეკისაგან.

სექტორებისა და ბიბლიოთეკის სათავეში სდგანან გამგეები, რომელთაც დანიშნავს და დაითხოვს სახლის დირექტორი სრულიად საქართველოს ცენტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებასთან შეთანხმებით.

7. საბჭოთა აღმშენებლობის სახლის სასწავლო სექტორს დაეკისრება:

ა) მოაწყოს საქართველოს სსრ საბჭოთა აღმშენებლობის კადრების მასიური მომზადებისა და გადამზადების საქმე და ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ საქმეს;

ბ) საეროო სამეთოდო ხელმძღვანელობა გაუწიოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან და საქალაქო საბჭოებთან მოწყობილ საბჭოთა აღმშენებლობის კურსებს;

გ) მონაწილეობა მიიღოს განათლების სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ იმ საპროგრამო-სამეთოდო საკითხების დამუშავებაში, რაც შეეხება საბჭოთა აღმშენებლობის სწავლებას სასწავლებლებში;

დ) სამეთოდო ხელმძღვანელობა გაუწიოს საბჭოთა აღმშენებლობის ხაზით მშრომელთა ფართო მასებში წარმოებულ მასიურ-საგანმანათლებლო მუშაობას.

სასწავლო სექტორთან მოეწყობა: 1) საბჭოთა აღმშენებლობისა და მისი ცალკე დარგების მუდმივი და დროებითი კურსები, 2) სამეთოდო ბიურო საგნობრივი კომისიებით და 3) კონსულტაციებისა და დაუსწრებელი სწავლების ბიურო.

8. მასიური მუშაობის შესწავლის სექტორს დაეკისრება:

ა) საბჭოთა აღმშენებლობის საკითხების მეცნიერულ-პრაქტიკული დამუშავება;

ბ) საბჭოთა აღმშენებლობის საკითხებზე მოხსენებებისა და ლექციების მოწყობა;

გ) სასოფლო და საქალაქო საბჭოებთან საბჭოთა აღმშენებლობის გამოფენებისა, ბიბლიოთეკებისა და სხვა დაწესებულებების მოწყობა;

დ) საბჭოთა აღმშენებლობის დარგში ბეჭდვითი შრომებისა და იმავე საკითხის შესახებ პოპულარული ლიტერატურის გამოცემა.

მასიური მუშაობის შესწავლის სექტორთან არსებობს საბჭოთა აღმშენებლობლობის მასალის ბიურო, რომელსაც დაეკისრება საბჭოთა აღმშენებლობის საქმის ყველა აქტების, დოკუმენტების და მასალის შეკრეფა, სისტემატიზაცია და შენახვა.

მასიური მუშაობის შესწავლის სექტორი, მასიური მუშაობის ექსპერიმენტალური შესწავლისათვის, მონაწილეობას მიიღებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების მიერ წარმოებულ ადგილობრივი საბჭოების გამოკვლევებში და აგრეთვე ადგილობრივი საჩვენებელი საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების მოწყობაში.

9. ინსტრუქციებს სექტორების, ბიუროების, კურსების და კონსულტაციების მუშაობის შესახებ და მათი მუშაობის პროგრამებსა და გეგმებს განიხილავს სახლის საბჭო და დაამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. საბჭოთა აღმშენებლობის სახლს ჰყავს ადგილობრივ თავისი ფილიალები: საბჭოთა აღმშენებლობის საქალაქო და სარაიონო კაბინეტები, რომელნიც იმოქმედებენ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული სატიპო დებულებების საფუძველზე.

11. საბჭოთა აღმშენებლობის სახლი ინახება სახელმწიფო ბიუჯეტით—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ხარჯთაღრიცხვით გაცემული სახსრით.

12. საბჭოთა აღმშენებლობის სახლს აქვს ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბის გამოსახულებით და თავისი სახელწოდების წარწერით.

---

263. დადგენილება ც. ა. კ.

„რემედასის“ დეკადის (ათდღიურის) ჩატარების შესახებ.

რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციის (რემედასის) მატერიალური სახსრის გაძლიერებისა და მისი იდეების და ამოცანების პოპულიარიზაციის მიზნით—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ნება დაერთოს რევოლიუციისათვის მებრძოლთა ორგანიზაციის (რემედასის) საქართველოს ცენტრალურ კომიტეტს ჩაატაროს საქართველოს სსრ მთელს ტერიტორიაზე ამა წლის დეკემბრის 15-დან დეკემბრის 24-მდე „რემედასის“ დეკადა ქვემომდევნო მუხლებში აღნიშნულ საფუძვლებზე:

2. „რემედასის“ საქართველოს ცენტრალურ კომიტეტს ნება აქვს:

ა) მოაწყოს დეკემბრის 18, 19 და 20 ქუჩებში, საჯარო ადგილებში და სახელმწიფო დაწესებულებებში ფულის შეგროვება ყულაბებით და აგრეთვე ყველა დაწესებულებასა და საწარმოში შეწირულებათა შეგროვება ფურცლებზე ხელის მოწერით;

ბ) გამართოს ფასიანი კონცერტები და წარმოდგენები;

გ) მოაწყოს საჯარო ლექციები, საუბრები და მოხსენებები სათანადო თემებზე, რისთვისაც გამოიყენოს საზოგადო აუდიტორიები და კინო-თეატრები, აგრეთვე რადიო გადაცემა.

3. შემოღებულ იქნეს დეკემბრის 18, 19 და 20-ს გასართობსა და სანახაობაზე (თეატრი, კონცერტი, ცირკი, კინო და საბილიარდო) შემსვლელთათვის სპეციალური გამოსაღები ბილეთის ფასის 10%-ის რაოდენობით.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნული გამოსაღები გადახდევინებულ იქნება საამისოდ საერთო წესით დადგენილი გამოსაღების გარეშე.

4. ამა დადგენილებაში აღნიშნულ ღონისძიებათ ანხორციელებს „რემედასის“ საქართველოს ცენტრალური კომიტეტი „რემედასის“ ფონდის შესაქმნელად მოწყობილი სპეციალური რესპუბლიკანური კომიტეტის მეშვეობით.

სრულიად საქართველოს ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. დეკემბრის 3.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 278 №-ში 1931 წ. დეკემბრის 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლის სამართალი

264. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილი (კან. კრ. 1929 წ. 22 №-ი, მუხ. 265; 1931 წ. მე-10 №-ი, მუხ. 123 და მე-18 №-ი, მუხ. 203) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

– „ბეგარის მოხდაზე და საერთო სახელმწიფოებრივი დავალებისა თუ საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებაზე უარისთქმა გამოიწვევს:

პირველად—ჯარიმას, რაიც დაიდება ხელისუფლების სათანადო ორგანოების მიერ დავალებისა, ბეგარისა თუ სამუშაოს ხუთჯერად ღირებულებამდე;

– მეორედ — თავისუფლების აღკვეთას ან იძულებითს მუშაობას ერთ წლამდე.

იგივე ქმედობა, უკეთუ იგი ჩადენილია ჯგუფის მიერ ურთიერთ შორის წინასწარი შეთანხმებით, ან კულაკური ელემენტების მიერ, ან და აქტიური წინააღმდეგობის გაწევით ხელისუფლების ორგანოებისათვის ბეგარისა, დავალებისა ან სამუშაოს ჩატარების დროს,—

თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე მთელი ქონების ან ქონების ნაწილის კონფისკაციით და უწყებული ადგილიდან გადასახლებით ან გადაუსახლებლად“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. ნოემბრის 28.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

265. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსისათვის 103²ა მუხლის დამატების შესახებ.

„ავტო-მოტო-ტრანსპორტის აღნუსხვის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივლისის 20-ის დადგენილებისა (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 45 №-ი, მუხ. 307) და „ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოსათვის სავალდებულო დადგენილებათა და ინსტრუქციათა გამოცემისა და მათი დარღვევის გამო საადმინისტრაციო წესით გადასახდელის დადების უფლების მინიჭების თაობაზე“ არსებული დადგენილების მე-4 და 9 მუხლების დამატების შესახებ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1931 წ. სექტემბრის 12-ს მიღებული დადგენილების (ა/კ ცენ. აღმ. კ-ტის პრეზიდიუმის სხდომის ოქმი № 14, § 9) შესაბამისად—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლის მარტის 10-ის თარიღისა და 77 № ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 8) ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 103²-ა მუხლი შემდეგი შინაარსისა:

— „103²-ა. ავტო-მოტო-ტრანსპორტის აღნუსხვის წესების დარღვევა, უკეთუ სათანადო აქტით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის წესით, გამოიწვევს

იძულებითს მუშაობას ერთ თვემდე ან ჯარიმას ორას მანეთამდე“.—

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. ნოემბრის 28.

ტფილისი.

---

266. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსისათვის 105¹ მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 105¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„105¹. ძალადობით, სამართლის საწინააღმდეგოდ, საცხოვრებელი ფართობის დაჭერა გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ან იძულებით მუშაობას ერთ წლამდე“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. ნოემბრის 28.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

267. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 26 მუხლის მე-2 შენიშვნის უკანასკნელი აბზაცის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 26 მუხლის მე-2 შენიშვნის უკანასკნელი აბზაცი (კან. კრ. 1931 წ. მე-19 №-ი, მუხ. 205) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ამა შენიშვნის „ა“ და „ვ“ პუნქტებში აღნიშნული საქმეები სრულიად არ ექვემდებარება სასამართლო დაწესებულებას, ხოლო სხვა საქმეებზე ვრცელდება სამოქალაქო საქმეების ქვემდებარეობის საერთო წესები“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. ნოემბრის 28.

ტფილისი.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

268. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სისხლის საქმეთა ქვემდებარეობის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ვიდრე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში სათანადო ცვლილებები შეიტანებოდეს, დაწესებულ იქნეს სისხლის საქმეთა შემდეგი ქვემდებარეობა:

1. ყველა სისხლის საქმე ექვემდებარება სახალხო სასამართლოს და განიხილება მის მიერ სახალხო მოსამართლისა და ორი სახალხო მსაჯულის შედგენილობით, გარდა ამა დადგენილების მე-2 და 3 მუხლებში აღნიშნული საქმეებისა, და იმ საქმეებისა, რაც სპეციალური კანონებით მიკუთვნებულია სამხედრო ტრიბუნალებისა, სარკინისგზო სახაზო სასამართლოს, სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოებისა, საწარმოო-საამხანაგო სასამართლოებისა ფაბრიკასა, ქარხანასა, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოში და საბინაო ამხანაგობებთან და სახელმწიფო და მუნიციპალურ სახლებთან არსებული საამხანაგო სასამართლოების გამგებლობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სახალხო მოსამართლე ერთპიროვნად, სასამართლოს ბრძანების წესით, განიხილავს საქმეებს ისეთ ქმედობათა შესახებ, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 60 მუხლის 1-ლი ნაწილით, 64 და 65 მუხლებით, 68 მუხლის მე-3 ნაწილით, 73 მუხლით, 75 მუხლის 1-ლი ნაწილით, 90, 93, 102, 103[1] და 103[2]ა მუხლებით, 106 მუხლის 1-ლი ნაწილით, 112, 113 და 198 მუხლებით, 200 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილით, 202 მუხლის 1-ლი ნაწილით, 203—205, 205[1] და 206—211 მუხლებით.

3. საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს და, ამისდა შესაბამისად, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის უმაღლეს (უზენაეს) და მთავარ სასამართლოებს ნქვემდებარებათ საქმეები:

ა) სისხლის სამართლის კოდექსის 58[2]—58[14], 58[16], 58[17], 58[17]ა, 58[17]ბ, 58[18], 58[22], 58[24]—58[27] მუხლებით, 78 მუხლის მე-2 ნაწილით, 118 მუხლის 1-ლი ნაწილით, 120 და 138 მუხლებით და 181 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა შესახებ;

ბ) თანამდებობრივ დანაშაულთა შესახებ, რასაც ჩაიდენენ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების წევრნი, სახალხო კომისარნი და მდგომარეობით მათთან გათანაბრებული პირნი და მათივე მოადგილენი, რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის პროკურორნი და მათი თანაშემწენი, სახალხო კომისარიატების კოლეგიების წევრნი, უზენაესი, უმაღლესი და მთავარი სასამართლოების წევრნი, სახალხო მოსამართლენი და სახალხო მსაჯულნი, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საბჭოების თავმჯდომარენი და წევრნი და სარაიონო პროკურორნი;

გ) უზენაესი, უმაღლესი და მთავარი სასამართლოებისათვის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებისა, აღნიშნული სასამართლოების პლენუმებისა ან რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის პროკურორების დადგენილებებით გადაცემული საქმეები.

4. უზენაესი, უმაღლესი და მთავარი სასამართლოების პრეზიდიუმებს და რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის პროკურორებს უფლება აქვთ გადასცენ სახალხო სასამართლოს ყველა სისხლის საქმე ან სისხლის საქმეთა კატეგორია ამა დადგენილების მე-3 მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნულ საქმეთაგან, უკეთუ საქმე რთული არ არის ან მას არა აქვს ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობა, გარდა სისხლის სამართლის კოდექსის 58[2]—58[14] მუხლებით, 58[16], მუხლის 1-ლი ნაწილით, 58[17], 58[17]ა, 58[17]ბ, 58[20]—58[22], 58[24] მუხლებით და 181 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა შესახები საქმეებისა.

5. ამა დადგენილების გამოცემისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შემდეგი დადგენილებანი:

ა) 1928 წ. აპრილის 11-ისა „საქართველოს სსრ 1928 წლის რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეების ქვემდებარეობის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-11 №-ი, მუხ. 106 და 1931 წ. მე-5 №-ი, მუხ. 70);

35
ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) 1929 წ. აგვისტოს 30-ისა „სამაზრო სასამართლოების გაუქმებისა და სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის საქმეების ქვემდებარეობის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-19 №ი, მუხ. 201).

6. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა შეუთანხმონ თავიანთი კანონმდებლობა ამა დადგენილებას.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ბ. ვოგია.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოდრია.

1931 წ. ნოემბრის 28.

ტფილისი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

— საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა —

(პირველი ნაწილის)

ხელის მოწერის ფასი 1932 წლისათვის

8 მანეთი

მთავლიტი 2345. საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა ტირაჟი 1.100.